სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/233

ქ. თბილისი

5 სექტემბერი 2018

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში კონსტანტინე აბულაძის მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის პროფ. რ. ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 5 სექტემბრის № 01-05-02/18 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტში მოწვეულ იქნეს კონსტანტინე აბულაძე პროფესორის თანამდებობაზე 400 საათიანი დატვირთვით ახალი სასწავლო წლიდან 2019 წლის 1 აგვისტომდე.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — ~~ბ. ფრანგიშვილი~~

აკადემიური საბჭოს მდივანი — გ. სალუქვაძე